

“დარიალჰესის” გამო მდინარე თერგი თითქმის დაშრა – ფოტოები

 netgazeti.ge/news/263531

მიშა მეფარიშვილი

“დარიალჰესის” გამო მდინარე თერგი 8 კილომეტრის მანძილზე თითქმის დაშრალია და მცირე ზომის ღელესავით მოედინება.

მოქალაქე იაგო კაზალიკაშვილმა “ფეისბუქში” ფოტოები გამოაქვეყნა, სადაც ასახულია მდინარე თერგი, რომელიც თავის ბუნებრივ კალაპოტში ძლივს ჩანს. ამის მიზეზი ის არის, რომ თერგის საშუალო მრავალწლიური ხარჯის 90% გადასროლილია სადერივაციო მილებში და მხოლოდ 10% რჩება კალაპოტში.

ასრულებს თუ არა ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებას კომპანია “დარიალჰესი” და არის თუ არა მდინარის დატოვებული ნაწილი საშუალო მრავალწლიური ხარჯის 10%, ეს გარემოს ზედამხედველობის მონიტორინგის საკითხია, აცხადებს არასამთავრობო ორგანიზაცია “მწვანე ალტერნატივის” წევრის ირაკლი მაჭარაშვილი.

ირაკლი მაჭარაშვილი ამბობს, რომ გაზაფხულზე მნიშვნელოვანია, მდინარის წყლის საკმარისი რაოდენობა დარჩეს კალაპოტში, რადგან თერგის კალმახი ქვირითობს. მაჭარაშვილის თქმით, გასათვალისწინებელია, რომ მდინარის ხარჯმა, შესაძლოა, გავლენა მოახდინოს წავზევც, რომელიც წითელი ნუსხით დაცული სახეობაა.

ასრულებს თუ არა კომპანია დადგენილ პირობებს, ეს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უნდა შეისწავლოს, თუმცა სამინისტროში აცხადებენ, რომ “დარიალჰესის” შემონმება ჯერ არ შეუძლიათ.

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ნელი კორკოტაძემ “ნეტგაზეთს” უთხრა, რომ “დარიალჰესს” შეამონმებენ, თუმცა, როდის ეს ჯერ არ იცის, რადგან დეპარტამენტს “რეგულირების უამრავი ობიექტი” აქვს. მისი თქმით, შემონმება ადეკვატურ პერიოდში უნდა ჩატარდეს, რომ ხარჯთან დაკავშირებული საკითხებიც მოიცვას.

ნელი კორკოტაძის თქმით, “დარიალჰესის” მფლობელმა ყველა წყალმომხმარებლის ინტერესები უნდა გაითვალისწინოს. კომპლექსური შემონმება ასევე მოიცავს ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შესწავლასაც.

“დარიალჰესი” პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა 2017 წლის 8 აპრილს გახსნა. პრემიერ-მინისტრის თქმით, დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში “საინჟინრო თვალსაზრისით ყველაზე რთული ნაგებობაა”.

“დარიალჰესი” გარემოსდაცვითი ორგანიზაციებისა და აქტივისტების პროტესტის ფონზე აშენდა, ისინი ეწინააღმდეგებოდნენ ამ ტერიტორიაზე ჰესის აშენებას. მათი თქმით, ჰესი მდინარე თერგს ზიანს მიყენებდა, ხოლო ტემპერატურას შეცვლიდა.

ჰესის მშენებლობის დროს დევდორაკის ხეობაში სტიქიური პროცესები ვითარდებოდა. იყო ბუნებრივი კატასტროფაც. 2014 წელს ხეობაში სტიქია გააქტიურდა – ჩამონვა მენყერი, რომელსაც ადამიანების სიცოცხლე ემსხვერპლა. საქართველოს მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ სტიქიას დარიალიპესთან კავშირი არ ჰქონდა, “მწვანე ალტერნატივა” კი აცხადებდა, რომ მშენებლობის პროცესში დაცული არ იყო გარემოსდაცვითი საკითხები.



მდინარე თერგი ფოტო:იაგო კაბალიკაშვილი



მდინარე თერგი ფოტო:იაგო კაბალიკაშვილი